



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხულოს მუნიციპალიტეტის მერი

დ. ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. N1

ტელ: 7 00 72

N 1124
26/12/2017

1124-09-4-201712261059



ბრძანება

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდაჭარაში დაცვის ოფისის მშენებლობის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 23.03.34.026) ნებართვის გაცემის შესახებ

მიმდინარე წლის 06 დეკემბერს დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“-ს №11014/09 განცხადებაზე, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდაჭარაში დაცვის ოფისის მშენებლობის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 23.03.34.026) ნებართვის გაცემის შესახებ.

წარმოდგენილია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 მარტის №57 დადგენილების VIII-ე თავის 39-ე მუხლის (მშენებლობის ნებართვის გამარტივებული წესით გაცემა) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით მოთხოვნილი დოკუმენტაცია, რომელიც შესრულებულია ამავე დადგენილების მე-X-ე, მე-XI-ე, მე-XII-ე და მე-XV-ე თავების მოთხოვნათა შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია გაიცეს ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდაჭარაში დაცვის ოფისის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 23.03.34.026) მშენებლობის ნებართვა.


საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე-ე“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავების, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-VIII-ე თავის 37-ე მუხლის, მე-XI-ე, მე-XII-ე და მე-XV-ე თავების და ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის გურამ დეკანაძის 2017 წლის 14 დეკემბერის N4541-09 მოხსენებითი ბარათისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე

ვბრძანებ:

- 1) გაიცეს ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდაჭარაში დაცვის ოფისის მშენებლობის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 23.03.34.026) ნებართვა;
- 2) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს (გ. დეკანაძე) უზრუნველყოს მშენებლობის სანებართვო მოწმობის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურის განხორციელება;

- 3) მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადად განისაზღვროს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტსა და სამუშაოების განხორციელების კალენდარულ გრაფიკში მოცემული ვადები;
- 4) მშენებლობის სანებართვო მოწმობაში გაწერილ იქნას შენობა-ნაგებობის კლასის შესაბამისი სანებართვო პირობები;
- 5) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს (ა. ბოლქვაძე) ბრძანების ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.khulo.ge) ატვირთვა და შესაბამისი სამსახურ(ებ)ისათვის წინამდებარე ბრძანების ასლ(ებ)ის გადაცემა;
- 6) ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს ლაშა ბოლქვაძეს;
- 7) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხულოს მაგისტრატ სასამართლოში (მის: დაბა ხულო, აღმაშენებლის ქუჩა N5), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
- 8) ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გოჩა მელაძე



მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა